

სახელი, გვარი, ტელეფონი

სკოლა

ამოცანები, რომლებიც 2 ბალით ფასდება



1) რომელია 123-ზე მეტი და 126-ზე ნაკლები კენტი რიცხვი?

- 1) 121 2) 123 3) 124 **4) 125**

2) რამდენი გაუფერადებელი ვარსკვლავია მოცემულ ნახატზე?



- 1) ოცა 2) შვიდი 3) ექვსი **4) ორი**

3) რამდენით ნაკლებია 10-ის წინა რიცხვი უდიდეს ორნიშნა ლუწ რიცხვზე?


- 1) 90-ით **2) 89-ით** 3) 88-ით 4) 87-ით

4) რომელი ორი ერთმანეთის მომდევნო რიცხვის ნამრავლია თორმეტი?

- 1) 2-სა და 6-ის 2) 2-სა და 3-ის **3) 3-სა და 4-ის** 4) 1-სა და 12-ის

5) მოცემული ოთხკუთხედის რამდენი წვერო მდებარეობს წრეწირის შიგნით?

- 1) ერთი **2) ორი** 3) სამი 4) ოთხი



ამოცანები, რომლებიც 3 ბალით ფასდება



6) რა რიცხვი უნდა გამოვაკლოთ 15-ის მომდევნო რიცხვს, რომ მივიღოთ უმცირესი ორნიშნა რიცხვი?

- 1) ათი 2) შვიდი **3) ექვსი** 4) ხუთი

7) ნონამ ტყეში 22 სოკო იპოვა, ნუნუმ – 8-ით მეტი, გაგამ კი – იმდენი, რამდენიც ნონამ და ნუნუმ ერთად. რამდენი სოკო იპოვა გაგამ?

- 1) 22 სოკო 2) 30 სოკო **3) 52 სოკო** 4) 104 სოკო

8) ორი შესაკრების ჯამია 81. ერთ-ერთი შესაკრები უნაშთოდ იყოფა 6-ზე, მეორე შესაკრები კი უნაშთოდ იყოფა 7-ზე. რომელია ეს ორი შესაკრები?

- 1) 54 და 27 2) 36 და 35 3) 45 და 36 **4) 18 და 63**

9) მოცემული რიცხვებიდან რომელი მიიღება ორი ტოლი რიცხვის ერთმანეთზე გამრავლებით?

- 1) 20 2) 24 **3) 36** 4) 50

10) ბებიას სოფელში 8 ძროხა, 7 გოჭი და 9 ქათამი ჰყავს. რამდენი ფეხი აქვთ ძროხებს, გოჭებს და ქათამებს ერთად?

1) 96

2) 82

3) 78

4) 72

ამოცანები, რომლებიც 5 ბალით ფასდება




11) რამდენი ოთხკუთხედია გამოსახული მოცემულ ნახაზზე?

1) ერთი

2) ორი

3) სამი

4) ოთხი



12) ბადურის რვა ცალი ხუთღარიანი აქვს. რამდენი ათღარიანი აკლდება მას ასღარიანი სათამაშოს საყიდლად?

1) 60

2) 40

3) 12

4) 6

13) რას უდრის 4-ის წინა და მომდევნო რიცხვების ნამრავლისა და უდიდესი ერთიანა რიცხვის ჯამი?

1) 15-ს

2) 17-ს

3) 24-ს

4) 25-ს

14) ყოველი ერთი კვირის განმავლობაში ოჯახი 6 კგ კარტოფილს მოიხმარს. რამდენ კილოგრამ კარტოფილს მოიხმარს ეს ოჯახი 42 დღის განმავლობაში?

1) 36 კგ-ს

2) 49 კგ-ს

3) 252 კგ-ს

4) 242 კგ-ს

15) ნუკრის ერთი ცალი ოცღარიანი აქვს. რა თანხა უნდა დაუბრუნოს გამყიდველმა მას, თუ იგი ამ ფულით ცხრაღარიან სათამაშო მანქანას და ორ ცალ ორღარიან ნაყინს შეიძენს?

1) 13 ლარი

2) 11 ლარი

3) 9 ლარი

4) 7 ლარი

ამოცანები, რომლებიც 7 ბალით ფასდება



16) მაიას ოცღარიანი ჰქონდა. მან მაღაზიაში ორი რვაღარიანი კბილის პასტა შეიძინა. რამდენი ორღარიანი საპნის შეძენა შეუძლია მაიას დარჩენილი თანხით?

1) ექვსი

2) ოთხი

3) ორი

4) ერთი

17) მატარებელი თბილისიდან ხაშურამდე მანძილს 210 წუთში გადის. რომელ საათზე ჩავა მატარებელი ხაშურში, თუ ის თბილისიდან 4 საათსა და 30 წუთზე გავა?

1) 8 სთ 30 წთ

2) 8 სთ

3) 7 სთ 30 წთ

4) 7 სთ

18) მოცემული რიცხვებიდან: 55; 99; 45; 50 და 5, რამდენი რიცხვია ისეთი, რომელსაც თუ დაგუმატებთ 50-ზე დიდ რიცხვს, მივიღებთ ასს?

1) 1 რიცხვი

2) 2 რიცხვი

3) 3 რიცხვი

4) 4 რიცხვი

19) დაფაზე წერია რიცხვები: 16, 17, 18, 19, 20, 21, 22. გიორგიმ რვეულში გადაიწერა ის რიცხვი, რომელშიც ყველაზე ცოტა ერთეული იყო ერთეულების თანრიგში, შემდეგ გადაიწერა ის რიცხვი, რომელშიც ყველაზე მეტი ერთეული იყო ერთეულების თანრიგში და შეკრიბა ეს ორი რიცხვი. რა რიცხვი მიიღო გიორგიმ?

1) ოცდაცხრა

2) ოცდათვრამეტი

3) ოცდაცხრამეტი

4) ორმოცდაორი

ამოცანები, რომლებიც 8 ბალით ფასდება



20) ნათია შარშან 12 წლის იყო. გეგი ნათიაზე 3 წლით უფროსია. რამდენი წლის იქნება გეგი მომავალ წელს?

- 1) 13 წლის 2) 16 წლის 3) 17 წლის 4) 18 წლის

21) სათამაშო კომპიუტერი 337 ლარი ღირს. ნიკუშას აქვს ერთი ცალი ასლარიანი, სამი ცალი ორმოცდაათლარიანი, ორი ცალი ოცლარიანი და ოთხი ცალი ათლარიანი. ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი კუბიურები უნდა ჰქონდეს ნიკუშას კიდევ, რომ კომპიუტერის შეძენისას მან შეძლოს თანხის ზუსტად გადახდა?

- 1) 1 ხუთლარიანი; 2) 1 ათლარიანი და 1 ხუთლარიანი; 3) 3 ორლარიანი; 4) 1 ხუთლარიანი და 2 ერთლარიანი.

22) დღე-ღამის განმავლობაში სტუდენტებმა 2 საათი იმგზავრეს, ოთხჯერ მეტი დროის განმავლობაში ეძინათ, ხოლო დანარჩენი დრო მეცადინეობდნენ. რამდენი საათი მეცადინეობდნენ სტუდენტები?

- 1) 14 საათი 2) 12 საათი 3) 10 საათი 4) 8 საათი

23) რამდენი ისეთი სამნიშნა რიცხვი არსებობს, რომელშიც ასეულებისა და ერთეულების აღმნიშვნელი ციფრები ტოლია, ხოლო ათეულების აღმნიშვნელი ციფრი 4-ით ნაკლებია ასეულების აღმნიშვნელ ციფრზე?

- 1) ერთი 2) ხუთი 3) ექვსი 4) ცხრა

ამოცანები, რომლებიც 10 ბალით ფასდება




24) მაგიდაზე წითელი, ყვითელი და მწვანე თითო-თითო ბურთი დევს. ნოდარმა და ლევანმა მაგიდიდან თითო-თითო ბურთი აიღეს. ნოდარს არ აუღია არც ყვითელი და არც წითელი ბურთი, ლევანს კი არ აუღია წითელი ბურთი. რა ფერის ბურთი აიღო ლევანმა?

- 1) წითელი 2) ყვითელი 3) მწვანე 4) ამის გაგება შეუძლებელია

25) ორი წლის წინ ბებია 24 წლით უფროსი იყო მამაჩემზე. რამდენი წლისაა ახლა მამაჩემი, თუ ახლა ბებია 64 წლისაა?

- 1) 38 წლის 2) 40 წლის 3) 42 წლის 4) 88 წლის

26) A, B და C პუნქტებიდან ერთდროულად გაიქცნენ ძაღლი, მგელი და მელა. A პუნქტიდან C პუნქტისკენ გაიქცა ძაღლი, C პუნქტიდან B პუნქტისკენ გაიქცა მგელი, ხოლო B პუნქტიდან A პუნქტისკენ გაიქცა მელა. ნახევარი საათის შემდეგ ძაღლმა გაირბინა A და C პუნქტებს შორის მანძილის ნახევარი, მგელმა – C და B პუნქტებს შორის მანძილის ნახევარი, ხოლო მელამ – B და A პუნქტებს შორის მანძილის ნახევარი. რომელი მათგანი გარბის ყველაზე სწრაფად?



- 1) ძაღლი 2) მგელი 3) მელა 4) ერთნაირად

27) ერთი კვირის განმავლობაში, ყოველ დღე 28 კილოგრამ ატამს კრეფდნენ. მოკრეფილი ატამები 7 ყუთში თანაბრად გაანაწილეს. რამდენი კილოგრამი ატამია თითოეულ ყუთში?

- 1) 4 კგ 2) 14 კგ 3) 28 კგ 4) 32 კგ

28) ზურამ დაფაზე სამნიშნა რიცხვი დაწერა, რომელშიც სამივე ციფრი განსხვავებულია. რამდენი განსხვავებული ვარიანტი უნდა ჩამოვწეროთ, რომ მათ შორის აუცილებლად იყოს ზურას მიერ დაწერილი რიცხვი?



- 1) ათი 2) ცხრა 3) რვა 4) შვიდი

29) ყუთში ყრია ხუთი ცალი ხუთთეთრიანი და ხუთი ცალი ათთეთრიანი. ქეთის უფლება აქვს ყუთიდან შვიდჯერ ამოიღოს თითო-თითო ცალი მონეტა. ყველაზე ბევრი რამდენი თეთრის ამოღება შეუძლია ქეთის? (იგულისხმება, რომ ქეთი ყუთიდან ამოღებულ მონეტებს უკან არ აბრუნებს)

- 1) 50 თეთრის 2) 55 თეთრის 3) 60 თეთრის 4) 70 თეთრის

30) – დღეს შაბათია, – თქვა მაიამ.
– გუშინ მე 9 წლის გავხდი, – თქვა იამ.
კვირის რომელ დღეს არის მაიას დაბადების დღე, თუ იგი იაზე 3 დღით უმცროსია?

- 1) ორშაბათს 2) სამშაბათს 3) ოთხშაბათს 4) ხუთშაბათს

31) ბავშვთა გასართობ ცენტრში 14 ბავშვი შევიდა. ნაწილი ბატუტზე სასტუნაოდ ავიდა, ნაწილი კი სათამაშო აპარატებთან მივიდა. ცოტა ხანში იმ ბავშვების ნახევარი, რომლებიც ბატუტზე ხტუნაობდნენ, სიცილის ოთახში გავიდა. ამის შემდეგ ბატუტზე დარჩენილი ბავშვების ნახევარი წყლის დასალევად წავიდა, ხოლო შემდეგ დარჩენილის ნახევარი კი სასრიאלოზე გადავიდა. რამდენი ბავშვი მივიდა სათამაშო აპარატებთან?

- 1) 4 ბავშვი 2) 6 ბავშვი 3) 8 ბავშვი 4) 10 ბავშვი

32) კლასში 9 გოგონაა და რამდენიმე ბიჭი. თუ ბიჭების რაოდენობა განახევრდება, მაშინ კლასში 8-ით მეტი გოგონა აღმოჩნდება, ვიდრე ბიჭი. რამდენი ბიჭია კლასში?

- 1) ერთი 2) ორი 3) ათი 4) თერთმეტი

მონიშნე შენთვის სასურველი პრიზი!
(შეგიძლია მონიშნო მხოლოდ ერთი პრიზი)

















